„ლელოს" ინტერვიუ

მომავალი ტექნიკურ ფეხბურთს ეკუთვნის

თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრის ლექტორმა მურმან ტურავამ ეს ინტერვიუ ჩამოართვა სახელგანთქმულ ქართველ ფეხბურთელს სლავა მეტრეველს.

● საიდან ხართ წარმოშობით?

— მშობლები სოფელ უწერადან არიან. ამჟამად სოჭში ცხოვრობენ. თავად მე სოჭში ვარ დაბადებული, ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გავატარე და ქართულად ლაპარაკისას ხანდახან თუ წავიბორძიკებ, უნდა მაპატიოთ. ამ ნაკლს თანდათანობით ვასწორებ.

● როდის გაგიტაცათ პირველად ფეხბურთმა?

— ეს დიდი ხნის ამბავია, კარგად არც კი მახსოვს. ორი წლისა ვყოფილვარ, მამას რეზინის ბურთი რომ მოუტანია. საჩუქარმა თურმე ძალიან გამახარა, გაგორებულ ბურთს მაშინვე დავედევნე და პირველი დარტყმით ოთახის კუთხეში მდგარი დოქი გავტეხე. მამაჩემმა გაიცინა და მითხრა, შენგან ნამდვილად ფეხბურთელი დადგებაო. როგორც ხედავთ, წინასწარმეტყველება ახდა.

● რა გზით წარიმართა თქვენი საფეხბურთო კარიერა?

— ჩემი პირველი გუნდი სოჭის „სპარტაკი" იყო. მერე ერთხანს გორკის „ტორპედოში" ვთამაშობდი, იქიდან მოსკოვის „ტორპედოში" გადამიყვანეს, სადაც 7 წელი დავყავი. სწორედ ეს წლები იყო ყველაზე ნაყოფიერი ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში. მერე თბილისის „დინამოში" დავიწყე თამაში და აქვე დავამთავრე ჩემი სპორტული გზა.

● მუდამ თავდასხმაში თამაშობდით?

— მეტწილად, თუმცა ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც შემეძლო.

● როგორ ფიქრობთ, რა არის ფეხბურთში უმთავრესი, კოლექტიური თამაში თუ ცალკეულ ვარსკვლავთა იმპროვიზაცია?

— ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და ამიტომაც გუნდის ყველა წევრი ერთი მიზნით, ერთი აზრით უნდა სულდგმულობდეს. ისე კი კოლექტიური თამაში, ცხადია, იმპროვიზაციას არ გამორიცხავს.

● ხშირად ამბობენ, ფეხბურთელი მინდორს კარგად ხედავსო, როგორ ფიქრობთ, ბუნებრივი ნიჭია ეს თუ ვარჯიშის პროცესში გამომუშავებული ჩვევა?

— უთუოდ ბუნებრივი ნიჭია, ინდივიდუუმის თვისება.

● ხშირად თავდამსხმელი ახლოდანაც აცდენს ბურთს კარს. ეს რით უნდა ავხსნათ?

— პირველ ყოვლისა სპორტსმენის ტექნიკური მომზადების დონით. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რა მდგომარეობაში იყო ბურთის დამრტყმელი მოთამაშე და როგორი მოსაზრების უნარი აქვს.

● შეიძლება თუ არა ვარჯიშით ბურთის გატანის ალღოს ან ძლიერი დარტყმის გამომუშავება?

— ალბათ ყველა დამემოწმება, რომ ეს უმთავრესად ბუნებრივი ნიჭია, მაგრამ ვარჯიში ხელს უწყობს ამ ნიჭის განვითარებას.

● რა უფრო მეტ სიამოვნებას განიჭებდათ — გატანილი გოლი თუ ეფექტური ფინტი?

— ცალ-ცალკე ერთიც სასიამოვნოა და მეორეც. კმაყოფილების გრძნობა კი მაშინაა მეტი, თუ პირველს მეორეც თან ახლავს.

● ყველაზე ცუდ გავლენას ფეხბურთელზე რომელი ცხოვრებისეული ფაქტორი ახდენს?

— ასეთი ფაქტორი ბევრია. მე მათგან უმთავრესს გამოვყოფ. ფეხბურთელს, ისევე როგორც ყველა ადამიანს, ესაჭიროება სულიერი სიმშვიდე, სამყარო, სადაც ისვენებს და ემიჯნება წვრილმან უსიამოვნებებს. თუ ეს სიმყუდროვე (იგულისხმება, რა თქმა უნდა, პირადი ცხოვრება) დაირღვა, საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენაც ერთი ორად გაძნელდება.

● როდის გიგრძვნიათ ყველაზე დიდი სიამოვნება?

— ჩემთვის დღემდე ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა თვითმფრინავით მიწაზე ვეშვები. ბევრჯერ მოვხვედრივარ ხეტყვასა და ქარბუქში (განსაკუთრებით მძიმე განცდას შევუპყრივარ ოკეანეზე გადაფრენისას), ამიტომაც ვამბობ კატეგორიულად; ვერაფერი შეედრება იმ დიდებულ წამს, როდესაც თვითმფრინავის ბორბლები დედამიწას ეხება. შესაძლოა მე ვცდები, მაგრამ რას იზამ, კაცია და გუნება.

● რატომ აღარ არიან საბჭოთა ფეხბურთში ვარსკვლავები?

— იყო დრო, როცა მწვრთნელები მეტ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ მომზადებას და, აქედან გამომდინარე, ძალისმიერ თამაშს ტექნიკისა და სანახაობრივი ეფექტის საზიანოდ. ამან გაალარიბა და სილამაზე დაუკარგა ფეხბურთს. ჩემი აზრით, ფიზიკური და ტექნიკური მომზადება სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს. მომავალი ტექნიკურ ფეხბურთს ეკუთვნის. ამის ნიშნები უკვე ახლაც შეიმჩნევა.

● თქვენი აზრით, რომელი თვისება უნდა იყოს ყველაზე მეტად განვითარებული მწვრთნელში?

— ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, ფეოლას არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა არაერთხელ მიაღწია უდიდეს წარმატებას. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელი კარგი აღმზრდელი უნდა იყოს.

● ფეხბურთის საზღვარგარეთელი ვარსკვლავებიდან ვის იცნობთ ახლოს?

— პელეს, გარინჩას, სანტოსს, ვავასა და დიდის. ისინი უაღრესად თავმდაბალი ადამიანები არიან.

● როგორ გგონიათ, გახდება თუ არა თქვენი ვაჟი ფეხბურთელი?

— არავითარ შემთხვევაში. ფეხბურთს ბევრი სიხარული მოაქვს, მაგრამ ტანჯვაც ბევრი ახლავს. საამისოდ არ მემეტება ერთადერთი ვაჟი, მაგრამ თუ კი დიდი ფეხბურთელის ნიჭი აღმოაჩნდება, გზას ვერ გადავუღობავ.

* * *

სურათზე: ს. მეტრეველი.

მ. ტურნავას ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 226 (4476)

1971 წ.
13 ნოემბერი,
შაბათი,
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ნოვოსიბირსკში შედგა ციმბირისა და ყაზახეთის 8 ქალაქის 19 ნაკრები გუნდის სამატჩო შეხვედრა მოტოკროსში. შეჯიბრებაში 108 სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ნოვოსიბირსკის პირველმა ნაკრებმა, II ადგილზეა ომსკის გუნდი, III — ასევე ნოვოსიბირსკელები.

სურათზე: მოტოკროსის ტრასაზე.

ა. პოლიაკოვის ფოტო.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

[illegible]

17 ნოემბერს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელიც მოწვეულია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი: სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, აგრეთვე, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი (მომხსენებელი გ. სიხარულიძე).

დასაწყისი 11 ს.

მთამსვლელები დაეხმარნენ

სევეროდონეცკი (ვოროშილოვგრადის ოლქი), **11 ნოემბერი.** დახმარება მოულოდნელი იყო. ქიმიური კომბინატის მე-5 საამქროში ამომწოვი მილის შეკეთება გახდა საჭირო. საწარმოში, რომელსაც ქიმიკოსებმა მიმართეს დახმარებისთვის, მოსიმაღლენი არ აღმოჩნდნენ.

მაშინ კოლექტივს თავიანთი სამსახური შესთავაზეს სპორტკლუბ „ხიმიკის" მთამსვლელობის სექციის წევრებმა, რომელთა შორის ბევრი კარგი სპეციალისტი იყო. თავიანთი მწვრთნელის ა. ოპტოვის ხელმძღვანელობით სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ნ. კრასნოშჩეკოვმა, ი. პალიიმ, პირველთანრიგოსნებმა დ. ვორობიოვმა, ლ. კრუგლიკოვმა, ფ. გუცალენკომ თავად გააკეთეს დამზღვევი აღჭურვილობა, სწრაფად და ზუსტად ჩაატარეს სარემონტო სამუშაოების მთელი კომპლექსი. მათ 100 მეტრ სიმაღლეზე აიტანეს ყველა საჭირო ხელსაწყო და დავალება პირნათლად შეასრულეს.

● **კოტბუსი (გდრ), 10 ნოემბერი.** გდრ-ის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი ტანვარჯიშში კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა 19 წლის ბერლინელმა სტუდენტმა, ევროპის ექს-ჩემპიონმა კარინ იანცმა. მან გაიმარჯვა მრავალჭიდში, I ადგილები დაიკავა თავისუფალ ვარჯიშში, ორძელზე, ხტომაში. ძელზე მცირე ოქროს მედალი კ. შმიდტმა მოიგო. ე. ცუჰოლდი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო ევროპის პირველობიდან (მინსკი), საწვრთნელ მეცადინეობაზე დაშავდა და ქვეყნის პირველობაში მონაწილეობა არ მიუღია.

● **ბელგრადი, 10 ნოემბერი.** გ. იოვანოვიჩი იუგოსლავიის ახალი ჩემპიონია მოჭადრაკე ქალთა შორის. მან ქვეყნის პირველობაში ნახევარი ქულით გაუსწრო შარშანდელ ჩემპიონს მ. ლაზარევიჩს, რომელიც ახლა II ადგილს დასჯერდა.

● *ერევანი, 11 ნოემბერი. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა მატჩის V ტურში წარმატებას კვლავ მასპინძლებმა მიაღწიეს. ანგარიშია 4:2. სამი პარტია გადადებულია. გიპსლისმა დაამარცხა მარიჩი, ბელიავსკიმ — მარიანოვიჩი. ორივე იუგოსლაველმა დროს გადააცილა, ამასთან, ორივემ 34-ე სვლაზე. მანამდე მათი პოზიცია უიმედო იყო. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ვაგანიანი — ვუკიჩი, კუზმინი — ჩატანოვიჩი, კაპენგუტი — მინიჩი, ა. პეტროსიანი — მარლე. შტეინ—პარმას, კორჩნოი — ივკოვისა და რომანიშინ — რადულოვიჩის გადადებულ პარტიებში უპირატესობა საბჭოთა მოჭადრაკეთა მხარეზეა. 5 ტურის შემდეგ მატჩის საერთო ანგარიშია 23,5.11,5 მასპინძელთა სასარგებლოდ. 13 ნოემბერს დამთავრდება 10 გადადებული პარტია. ბოლო ტური 14 ნოემბერს მოეწყობა.*

ბოლოს...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი ჩაატარეს: მოსკოვის „სპარტაკს" შეხვდნენ. თამაშის წინ მოეწყო სპორტის დამსახურებული ოსტატის ს. მეტრეველის საზეიმო გაცილება დიდი ფეხბურთიდან. თბილისელთა შეხვედრა „სპარტაკთან" დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:0.

ახალი [illegible]-71

მოსწავლეები სეზონს აგრძელებენ

საქართველოს მძლეოსნებისთვის სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი არდადეგები დადგა. მხოლოდ თბილისელები ჩაებნენ სსრ კავშირის თასის — „იზვესტიას“ თასის გათამაშებაში, მაგრამ შემდგომ ეტაპზე ბრძოლის უფლება ვერ მოიპოვეს და სარბიელს ხანგრძლივად დაემშვიდობნენ.

სულ სხვაგვარად მოიქცნენ ისინი, ვისაც მოსწავლე მძლეოსანთა ნაკრებისთვის ზრუნვა ავალია, ჯერ თბილისის განათლების განყოფილებისა და საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელთა მორიგი მატჩი ჩატარდა, შემდეგ რესპუბლიკის მოსწავლე მძლეოსანთა საშემოდგომო პირველობა გაიმართა, რასაც საქართველოს პროფსაბჭოს, დნეპროპეტროვსკის, რიგის, დონეცკისა და სხვა სპორტსკოლების აღსაზრდელთა მატჩი მოჰყვა.

უკვე გამართულ ტურნირებში მაღალი შედეგები მასობრივი არაა, მაგრამ ისიც კარგია, რომ სპორტსმენებმა მოსწავლეთა რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში სამი შესწორება შეიტანეს. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ჭოკით ხტომაში ა. მარავსკიმ (მწვრთნელი ვ. ვენცკევიჩი) პროფსაბჭოსა და განათლების განყოფილების სპორტსკოლების მატჩში რეკორდი დაამყარა (405 სმ).

დანარჩენი ორი რეკორდი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ მოსწავლეთა საშემოდგომო რესპუბლიკურ პირველობაში გაუმჯობესდა. ერთი მიღწევის ავტორი ისევ მარავსკია. მან ამჯერად ჭოკით 410 სმ სიმაღლე დაძლია.

მეორე რეკორდი დაამყარა ხაშურის გუნდის წევრმა ნათელა ლაბაძემ, რომელიც ამჟამად თბილისის 28-ე საშუალო სკოლაში სწავლობს. ხაშურელი მწვრთნელის ვ. ზანიერის ყოფილი მოსწავლე ბადროს ტყორცნაში ახლა სპორტის ოსტატ ლამარა ტულუშის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ლაბაძემ ამ ტურნირში 47,36 მ აჩვენა, რაც მისსავე ძველ რეკორდზე 70 სანტიმეტრით უკეთესია. ლაბაძე ამავე დროს ერთადერთი მძლეოსანი იყო, ვინც გოგონათა შორის მოზრდილთა I თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა.

ამ მხრივ ჭაბუკთა შეჯიბრებაში უკეთესი მდგომარეობა იყო: I თანრიგის შედეგი სამმა მძლეოსანმა აჩვენა, ოღონდ ეგ არის, ამ წარმატებას სამივემ 100 მეტრზე რბენაში მიაღწია.

დებულებით, როგორც პირველი (თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი, თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი), ისე მეორე ჯგუფის (რესპუბლიკის სხვა რაიონები და ქალაქები) გუნდებისთვის ჩათვლას იძლეოდნენ ისინი, რომლებიც II თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. ეს ნიშნავდა, რომ ქალაქებსა და რაიონებს საასპარეზოდ მოუმზადებელი მძლეოსნები არ უნდა ჩამოეყვანათ. იმ სპორტსმენებზე, რომლებსაც II თანრიგამდე ცოტა დააკლდათ, იქნებ არაფერი გვეთქვა, მაგრამ ის კი გასაკვირია, რომ ქუთაისმა, სამხრეთ ოსეთმა, ზუგდიდმა, სამტრედიამ, ცხაკაიამ, გარდაბანმა, გორმა, ქარელმა, დუშეთმა ზოგიერთი ისე სუსტად მომზადებული მძლეოსანი გამოიყვანეს, რომ III და მოზარდთა I თანრიგის შესაბამის შედეგებსაც ვერ აჩვენებდნენ. მაგალითად, ბირთვის მკვრელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ხაშურელმა ნ. ყესაშვილმა (თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) 14,09 მ აჩვენა, გარდაბნელმა დ. აფციაურმა კი 7,49 მ, რაც მხოლოდ ჭაბუკთა II თანრიგს შეესაბამება. გოგონათა შეჯიბრებაში აფციაურის ბედი გაიზიარა სამტრედიელმა ა. ნებიერიძემ, რომლის ბირთვი 6,56 მეტრზე დაეცა. გამარჯვებული ლაბაძის შედეგია 12,13 მ. ნებიერიძემ თავი ბადროს ტყორცნაშიც „გამოიჩინა“ — 18,56 მეტრით ბოლო ადგილი დაიკავა. მან თანაგუნდელ დ. ჩაჩავასთან, რომელსაც ბოლოსწინა ადგილი ხვდა, თითქმის 8 მ წააგო. სამტრედიელი ჭაბუკი რ. აბზიანიძე 503 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა, რაც 16 წლის მოზარდისთვის სახარბიელო შედეგი არ გახლავთ. ზუგდიდელმა გოგონამ ლ. შეინმა 100 მეტრის გარბენას 16,4 წამი მოანდომა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ა. როგავამ 400 მეტრზე 1.16,4 აჩვენა და ბოლო ადგილზე დარჩა.

ამგვარი ფაქტი სხვაც ბევრი იყო. სპორტსმენებს ისე ვერ ვუსაყვედურებთ, როგორც მათ მწვრთნელებს, რომლებიც ფონს გასვლას მოუმზადებელი ბავშვებით ცდილობენ.

თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლე მძლეოსნები პარალელურ ჩათვლას აძლევდნენ იმ რაიონების გუნდებს, საიდანაც არიან ჩამოსული. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა თბილისში თავისი წარმომადგენლისა და ორიოდე მძლეოსნის გამოგზავნაც ვერ შეძლო. ონის რაიონმა სწორედ ამის გამო დაკარგა მეორე ჯგუფში II ადგილი, რომლის მოტანა მისთვის ამ რაიონიდან ინტერნატში სასწავლებლად ჩამოსულ ტ. ორდენიძეს ათჭიდში 6086 ქულის მოგროვებით შეეძლო.

დუშეთის, ზუგდიდის, სამტრედიის, გორისა და ქარელის ვერც ერთმა წარმომადგენელმა II თანრიგის ნორმატივი ვერ შეასრულა. ამიტომ მათი გუნდები შეუფასებელი დარჩნენ.

სახარბიელო შედეგები ვერც აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის კოლექტივებმა მოიპოვეს. მეორე ჯგუფის გუნდების — მახარაძისა და ლენტეხის მძლეოსნებმა უფრო მეტი ქულა მოაგროვეს, ვიდრე პირველი ჯგუფის ზემოთჩამოთვლილმა კოლექტივებმა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ პერიფერიებში მოსწავლე მძლეოსნებთან მუშაობა ისევ დაბალ დონეზე დგას. როგორც ირკვევა, ზოგიერთ ჯგუფს სათავეში არასპეციალისტები უდგანან, რაც ზემდგომი ორგანიზაციების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

თუ წლევანდელი შეჯიბრების საერთო შედეგებს შარშანდელი ამგვარი ტურნირის მაჩვენებლებს შევადარებთ, წინსვლა იმდენად უმნიშვნელოა, რომ სალაპარაკოდ არც კი ღირს.

და მაინც, ლაბაძისა და მარავსკის გარდა სტაბილური შედეგები აჩვენეს მ. კიკნაველიძემ, ნ. ვლადიმერაშვილმა, დ. მელაძემ, ლ. ბოლქვაძემ, ტ. ბელოვამ, შ. აგიშევმა და ი. არჯევანიძემ. ქების ღირსია 14 წლის ნელი ლოლაძე.

გთავაზობთ იმ პრიზიორ სპორტსმენთა ტექნიკურ შედეგებს, რომლებმაც ჩასათვლელი II თანრიგის ნორმატივები შეასრულეს.

გოგონები. რბენა. 100 მ. ტ. ბელოვა (აფხაზეთი) — 12,6, თ. ლოლაძე (თბილისი) — 12,7, ნ. ლოლაძე (თბილისი, პირადი) — 12,9. **200 მ.** ბელოვა — 26,7, თ. ლოლაძე — 27,0. **800 მ.** ს. ნაუმოვა (რუსთავი, პირადი) — 2.25,9. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. კიკნაველიძე—155, ნ. ვლადიმერაშვილი (ორივე — თბილისი) — 155. **სიგრძეზე ხტომა.** ა. ბატაევა (თბილისი, პირადი) — 535 სმ, უ. ბენიევა (სამხრეთ ოსეთი) — 533, ნ. გორგაძე (თბილისი) — 528. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ლაბაძე — 47,36, ს. სინცოვა (თბილისი) — 37,87. **შუბის ტყორცნა.** ტ. შტუკატუროვა (აჭარა) — 40,14. **ხუთჭიდი.** ე. ყარდაშოვა (აჭარა) — 3328 (400 და 1500 მეტრზე რბენაში, ესტაფეტაში 4×100 და 4×400 მეტრზე II თანრიგის შედეგი არავის უჩვენებია).

ჭაბუკები. რბენა. 100 მ. დ. მელაძე (თბილისი) — 10,7, ვ. ლოვჩი (აფხაზეთი) — 10,9, ბ. მექვაბიშვილი (მახარაძე) — 11,0. **200 მ.** მელაძე — 23,1, მექვაბიშვილი — 23,3, ვ. კოზელსკი (ქუთაისი) — 23,4. **400 მ.** ი. ზენინი (ქუთაისი)— 53,5. **800 მ.** ი. ბიხანოვი (თბილისი) — 2 წუთი. **1500 მ.** ვ. მელაშვილი (თბილისი) — 4.17,2, ს. ხაჩატრიანი (ახალციხე) — 4.19,0. **3000 მ.** არჯევანიძე (თბილისი) — 9.06.0, ხაჩატრიანი — 9.20,0. **2000 მ წინაღობებით.** არჯევანიძე — 6.17,4, ვ. სეხპოსოვი (თბილისი) — 6.35,5. **400 მ თარჯრბენი.** ე. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 1 წუთი, ა. გორელიკი (თბილისი) — 1.00,7, შ. შუქვანი (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 1.02,7. **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 45,7. **სიმაღლეზე ხტომა.** ა. კუზინი (ფოთი) — 185, გ. შუბინი (თბილისი) — 180, ბოლქვაძე (მახარაძე) — 175. **სიგრძეზე ხტომა.** ბოლქვაძე — 682, მ. ჩარაევი (სამხრეთ ოსეთი) — 649, რ. გასპარიანი (თბილისი) — 643. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ქებაძე (სამხრეთ ოსეთი) — 43,06. **შუბის ტყორცნა.** ტ. ზასოევი (სამხრეთ ოსეთი)—58.70, ვ. ხუბაევი (თბილისი) — 55,26. **უროს ტყორცნა.** შ. აგიშევი (თბილისი) — 49,02, რ. ფუხაევი (გარდაბანი) — 48.10. **ათჭიდი.** ტ. ორდენიძე (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი)—6086, თ. პატიაშვილი (მახარაძე) — 5686, ო. ლიპარტელიანი (ლენტეხი) — 5343 ქულა. **10 კმ სპორტული სიარული.** დ. შაბურიშვილი (თბილისი) — 51.13,4, ნ. ქოქოშვილი (თბილისი, პირადი) — 51.13,5. (110 მეტრზე თარჯრბენსა, სამხტომში და 4×400 მეტრზე ესტაფეტაში II თანრიგი არავის უჩვენებია).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **I ჯგუფი.** თბილისი — 12.292 ქულა, № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი — 9905, აჭარა — 4504. **II ჯგუფი.** მახარაძე — 8037, ლენტეხი — 5343, ხაშური — 2256.

რ. მაღრაძე.

* * *

სურათებზე: 200 მეტრზე მორბენალ ვაჟთა ფინალური ასპარეზობის მომენტი. წინაა გამარჯვებული მელაძე, მას მიჰყვებიან მექვაბიშვილი და კოზელსკი. ქვევით — 800 მეტრზე მორბენალი გოგონები დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტოები.

სამართლიანი მოთხოვნა

თელავიდან წერილი მოვიდა. გვწერდნენ, რომ ბავშვთა სპორტსკოლაში 1964 წლიდან არ მუშაობს ფრენბურთის ჯგუფები. დახმარებას გვთხოვდნენ.

... ანგარიშების მიხედვით, რაიონში 1945 ფრენბურთელია. წელიწადში 3-4 რაიონული შეჯიბრება ტარდება. რესპუბლიკის V სპარტაკიადაში თელაველმა ფრენბურთელებმა (მეორე ჯგუფში გამოდიოდნენ) ურიგოდ როდი ითამაშეს — ვაჟებმა II ადგილი დაიკავეს, ქალებმა კი III. 6 ფრენბურთელი წარადგინეს პირველ თანრიგზე (14 პირველთანრიგოსანი უკვე ჰყავდათ ამ სახეობაში). ერთი შეხედვით, ცუდად როდია საქმე, მაგრამ, მოდით, დავუკვირდეთ, როგორ მუშაობენ რაიონის ფრენბურთელთა რაზმეულის ცალკეული რგოლები.

მართლაც, ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლაში ფრენბურთელთა ჯგუფები არ არის. არსებობს მხოლოდ სიმბოლური ნაკრები გუნდები, მაგრამ მათი მომზადების დონე ძალიან დაბალია. ან როგორ დაოსტატდებიან, როცა სკოლების რაიონული შეჯიბრებები წელიწადში ორჯერ ტარდება „ოლიმპიური“ წესით: წააგეს? გასწიეს შინისკენ!

რაღა ხალისით ივარჯიშებს 1125 ნორჩი ფრენბურთელი. იქნებ საჭიროა, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ ეს ორი ჯგუფი მართლაც გახსნას?

1970 და 1971 წლების მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში თელავის ნორჩი ფრენბურთელები არ მონაწილეობდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს მიზეზით. ზრუნვაც ამას ჰქვია! „სპარტაკი“ ფრენბურთელებთან მუშაობას მხოლოდ ორ კოლექტივში (თხუთმეტიდან) აქცევს ყურადღებას. რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ მუსიკალურ და სამედიცინო სასწავლებლებში ყოველწლიურად 18-20 თანრიგოსანს ამზადებენ, მაგრამ ეს სხვა კოლექტივებისთვის დიდი შეღავათი არ უნდა იყოს.

„განთიადის“ ვაჟთა შორის მოთავედ მარმარილოს კომბინატის თანამშრომელი, პირველთანრიგოსანი ო. ბახსოლიანი ითვლება. მას შეუძლია გუნდი ამეცადინოს, კარგი განწყობილება შექმნას. სამაგიეროდ აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ფრენბურთელები (1000-დან მხოლოდ 30 კაცი მისდევს ამ სახეობას) მუდამ როდი არიან კარგ გუნებაზე. მათი საფრენბურთო მოედანი „მომთაბარეა“, რადგან ზედ გზაზეა მოწყობილი.

საერთოდ არა აქვთ ფრენბურთის მოედნები მარმარილოს კომბინატში, ხორცკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში, № 15 სამკერვალო ფაბრიკაში. ამიტომ ფრენბურთელთა რიცხვი — 190 — რეალურად არ გვესახება. „შრომითი რეზერვების“ 22 ფრენბურთელიდან შარშან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა თანრიგოსნის სახელი. „დინამოში“ ნორჩ ფრენბურთელებთან მუშაობას სჯერდებიან.

ცოტა უკეთაა საქმე „ბურევესტნიკში“, სადაც შარშან ორი პირველთანრიგოსანი მომზადდა. აქ ფრენბურთელთა ჯგუფის მუშაობაზე პასუხს აგებს პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი თ. ჩოთალიშვილი. მასთანაც 58 ფრენბურთელი ირიცხება და აქედან მხოლოდ ნახევარი მეცადინეობს.

ოცდაათიდან თხუთმეტი ფიზკულტურის კოლექტივი მონაწილეობს „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში. მართალია, „კოლმეურნე“ სხვა საზოგადოებებზე ხშირად ატარებს შეჯიბრებებს, ამზადებს პირველთანრიგოსნებსაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, მოწინავეს მაინც მეტი მოეთხოვება.

განა საწყენი არ არის, რომ ფრენბურთი 30-დან მხოლოდ 19 კოლექტივშია დანერგილი, პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმა კი ორი-სამი სასოფლო კოლექტივის ხარჯზე სრულდება?

მთავარი სატკივარი ის არის, რომ არ ჰყავთ შტატით მომუშავე მწვრთნელი ისეთ დიდ საზოგადოებებში, როგორიც არიან „კოლმეურნე“, „განთიადი“, „სპარტაკი“. იგივე ითქმის ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტზე.

თელაველი ფრენბურთელები სამართლიანად მოითხოვენ დახმარებას.

ვ. ზუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
თელავი.

თადარიგს იჭერენ

გაისად, გაზაფხულში კიევში გაიმართება სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებმა გუნდებმა უკვე დაიწყეს მზადება. სწორედ ფინალისთვის მზადების პროგრამით ჩატარდა თბილისში ტურნირები ხელბურთში, ფეხბურთში, აკრობატიკასა და მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენები მასპინძლობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის მოსწავლეებს.

დღეს ჩვენ საუბარი გვექნება თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ჭაბუკ ხელბურთელთა ასპარეზობაზე. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, მოსკოვის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის ნაკრებმა კოლექტივებმა. ზემოდასახელებულმა გუნდებმა სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ადგილები. გადავხედოთ ტექნიკურ შედეგებსაც: საქართველო — აზერბაიჯანი 17:19, საქართველო — ბელორუსია 26:24, საქართველო — მოსკოვი 20:19, მოსკოვი — ბელორუსია 21:21, მოსკოვი — აზერბაიჯანი 22:21, ბელორუსია — აზერბაიჯანი 22:15.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც შედარებით მოგვიანებით დაკომპლექტდა და საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება სულ ახლახან დაიწყო, ურიგო შთაბეჭდილება როდი დატოვა. მის შემადგენლობაში ვნახეთ ბევრი ნიჭიერი ხელბურთელი, რომელთაგანაც სათანადო ვარჯიშის შემდეგ კარგ შედეგებს უნდა ველოდეთ. და მაინც, ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები უფრო ძლიერი იქნებოდა, მწვრთნელებს ზოგიერთი დაბრკოლება რომ არ უშლიდეთ ხელს. მაგალითად, დღემდე ვერ მოხერხდა ნაკრებში ნიჭიერი სოხუმელი ხელბურთელების ო. დვალისა და ვ. პერტიკალის გადმოყვანა (ნაკრები თბილისში ემზადება და ამიტომ წლეულს აღნიშნულ მოსწავლეთა თბილისში გადმოყვანაა საჭირო).

გუნდის კანდიდატთა შერჩევისას მწვრთნელები ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში არიან: იმის გამო, რომ რაიონებში ხელბურთელთა მზადებას სათავეში უდგანან შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, ნორჩ სპორტსმენთა თამაშის კლასიც ვერ ტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას. როგორც ჩანს, საჭიროა რაიონებში მომუშავე მწვრთნელებისთვის ჩატარდეს სპეციალური სემინარები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვ.

ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ო. ჟვანიას. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მცირეა შეჯიბრებათა რიცხვი. ამ მხრივ, თბილისელებს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვთ. ხოლო რაიონების სპორტსმენებს დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობა მხოლოდ რესპუბლიკური სპარტაკიადის სარბიელზე უწევთ. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა გუნდების ბურთებით მომარაგება. საჭიროა აგრეთვე ნაკრებ გუნდებზე, სულ ცოტა, თვეში ერთხელ საექიმო კონტროლის დაწესება.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლე ხელბურთელებს საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით განათლების ორგანოებმა შესანიშნავი დარბაზი მიუჩინეს (30-ე საშუალო სკოლაში). აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ ზამთრის პერიოდში ხელბურთელებმა ნაყოფიერად ივარჯიშონ. გაზაფხულზე სპორტსმენები ღია მოედანზე უნდა გამოვიდნენ (სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები ღია მოედნებზე გაიმართება), მაგრამ თბილისში სწორედ კეთილმოწყობილი ღია მოედანი არ გაგვაჩნია. მართალია, კიროვის სახელობის პარკში არის ხელბურთის ორი მოედანი, მაგრამ ერთის იატაკი ხელახლა დასაგებია, ხოლო მეორეზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ გაზაფხულისთვის კიროვის პარკის მოედნები კეთილმოწყობილი იქნება.

ჯ. ენუქიძე.

იმედის თვალით

კალათბურთის ხოტბა და თავზე ხელის გადასმა არ უნდა. ჯერ ერთი, ვერ მისწვდებით, მეორეც, მთელი დედამიწის ზურგზე მისი განუზომელი პოპულარობა ზედმიწევნით ნათელი და თვალსაჩინოა. სწორედ ამიტომ ვიყავით გაოცებული ესენის ევროპულ ჩემპიონატზე ჩასული ჟურნალისტები, „გრუგა-ჰალეს“ ვეებერთელა დარბაზის ტრიბუნები ძალიან საინტერესო მატჩების დროსაც კი სანახევროდ ცარიელი რომ იყო. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და თითქოს ამ წერილის დაწერასაც აზრი დაეკარგა, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის მოახლოებულმა სტარტმა ერთხელ კიდევ გამახსენა მომავალი ოლიმპიური თამაშების სამშობლოში გამართული შეჯიბრება და კვლავ იმედით ამავსო: იქ ჩინებულად ითამაშეს საბჭოთა ქვეყნის ნაკრების თბილისელმა წევრებმა — დინამოელებმა ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ.

კონტინენტის კალათბურთელ ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატი XX ოლიმპიადის დედაქალაქ მიუნჰენში უნდა გამართულიყო, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოირკვა, რომ საამისოდ გათვალისწინებული შენობის დამთავრებას მასპინძლები ვერ ასწრებდნენ. ფიბა-ს დრო არ ჰქონდა რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან გაება მოლაპარაკება და სიამოვნებით დათანხმდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კალათბურთის ფედერაციის წინადადებას, რომ ჩემპიონატის წინასწარი თამაშები ესენსა და ბიობლინგენში ჩატარებულიყო, ხოლო ტურნირის დასკვნითი, ფინალური ეტაპი — ესენში.

ესენს — რურის ოლქის, დასავლეთ გერმანიის მძიმე მრეწველობის გულის მთავარ ქალაქს მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებია ჩემპიონატის რეკლამისთვის. თვით შეჯიბრების ადგილი — კალათბურთელთა სარბიელი, ცხადია, წესიერად იყო მოწყობილი, მაგრამ ამ ვეებერთელა ქალაქში ოდნავაც არ იგრძნობოდა, რომ იგი კონტინენტის უძლიერეს გუნდებს მასპინძლობდა: იშვიათად შეხვდებოდით საამისო აფიშებს, კალათბურთთან დაკავშირებულ, საგანგებოდ გაფორმებულ საგნებს, სტენდებსა და ვიტრინებს, შუქრეკლამაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

... ყრმობისა და სიჭაბუკის წლებში წაკითხული წიგნებით ადამიანს გარკვეული შეხედულება ექმნება ამა თუ იმ ერზე. მაგალითად, დიკენსის თხზულებებით ინგლისელები საკმაოდ გულცივ, მედიდურ, უკარება და პედანტურ ხალხად მესახებოდნენ, ჰიუგოს, ბალზაკის, ფლობერისა და მოპასანის რომანების წაკითხვის შედეგად — ფრანგები რომანტიკული სულისკვეთების ადამიანებად, ხშირ შემთხვევაში წუთიერ გატაცებათა მონებად და, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ცოტათი უდისციპლინოებადაც კი (ბოდიში ამ სიტყვისთვის)... გერმანელებს ჩვენ, პირიქით, მუდამ საღი განსჯის ადამიანებად, დისციპლინისა და წესრიგის უაღრეს მოყვარულებად ვიცნობთ.

და რაოდენ დიდი განსხვავება ვპოვე ოდესღაც წაკითხული ლიტერატურული წყაროებით შექმნილ წარმოდგენასა და ახლა მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის!

აქ არ მოვყვები ზემომოტანილი, შესაძლოა, ძალზე სუბიექტური მოსაზრების განმარტებას (ინგლისელები ძალიან გულითად, ზომიერად ამაყ, მეტად მეგობრულ და ვაჟკაცურ ადამიანებად წარმომიდგნენ, გერმანელები — ცნობილი „ქართული სტუმართმოყვარეობის“ შესანიშნავ განსახიერებად). ყოველივე ზემოთქმული იმიტომ დამჭირდა, რომ გითხრათ: პედანტურმა ინგლისელებმა და რკინის დისციპლინის მოყვარულმა გერმანელებმა საკმაოდ უსისტემოდ, არაოპერატიულად წარმართეს პრეს-ცენტრების საქმიანობა (ინგლისელებმა — მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის დროს, გერმანელებმა — ესენში), მაშინ, როცა „უდისციპლინო“ ფრანგებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩატარებას აბსოლუტურად ყველა პუნქტში.

... „გრუგა-ჰალე“ ამავე სახელწოდების მშვენიერი, უზარმაზარი პარკის შესასვლელთან დგას. სპორტის სასახლე არქიტექტურულად ერთობ სადა, მაგრამ ლამაზი ნაგებობაა. მისი ტრიბუნები 6 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, დარბაზში ცოტა მაყურებელი იყრიდა თავს. ეს განსაკუთრებით ითქმის წინასწარი ტურნირის მატჩებზე. გამონაკლისი მხოლოდ მასპინძელთა გუნდის გამოსვლები იყო: გერმანელები ძალიან მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავიანთ ჯერ კიდევ საშუალო სიძლიერის, მაგრამ საკმაოდ პერსპექტიულ ნაკრებს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ამ უაღრესად სპორტულ ქვეყანაში — კალათბურთს რატომღაც მხოლოდ ბოლო წლებში მიექცა სათანადო ყურადღება. და რა სასიამოვნო იყო, როცა დილის მატჩების საყურებლად ორგანიზებულად, ჯგუფ-ჯგუფად შემოჰყავდათ ბავშვები. არა მარტო კალათბურთის წრეებისა თუ სექციების წევრები, არამედ საერთოდ მოსწავლეები. აქ საქმეს ღრმად უყურებენ, ფესვებში სწვდებიან...

კალათბურთელთა ჩემპიონატის დღეს ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვნახეთ „გრუგა-ჰალე“ პირთამდე სავსე. ტრიბუნებზე, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ეს მოხდა... ხელბურთელთა ეროვნული პირველობის ერთ-ერთი კალენდარული შეხვედრის დროს. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ადგილობრივი და ჰამბურგის გუნდები. ჰამბურგელებს გათამაშების ცხრილის პირველი სტრიქონი ეჭირათ და შეხვედრა მასპინძელთა გუნდს კარგს არაფერს უქადდა. უნდა გენახათ, რა ამბავი იყო ტრიბუნებზე. ესენელები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ თავიანთი ხელბურთელების გასამხნევებლად, იყო ერთი სტვენა და საჩხარუნებლების „კონონადა“, სხვადასხვაგვარი საკრავების შეუთანხმებელი „კონცერტი“... არ ვიცი, ჰამბურგელებმა ითამაშეს თავიანთ შესაძლებლობაზე ნაკლებად, თუ ენით აუწერელი ქომაგობით ფრთაშესხმულმა ესენელებმა მოიქნიეს კუდი, მაგრამ, ასეა თუ ისე, უაღრესად დაძაბულ (და ძალიან უხეშ, ძალისმიერ) ბრძოლაში გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ — 13:12.

და კიდევ თითქმის ამდენივე ხალხი იყო ჩემპიონატის კულმინაციურ მატჩზე: სსრ კავშირი — იუგოსლავია. დასავლეთ გერმანიაში და, განსაკუთრებით, ესენში ძალიან ბევრია იუგოსლავიიდან ჩასული სეზონურად მომუშავე — ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და მაღაროებში დასაქმებული ხალხი. ფინალურ მატჩზე სამი ათასი ასეთი „მომთაბარე“ იუგოსლაველი მოვიდა. ისინი ბაირაღებითა და ტრანსპარანტებით, თავიანთი გუნდის გამარჯვების დაუოკებელი სურვილითა და „გასამხნევებელი“ საკრავებით იყვნენ შეიარაღებული. მატჩის მსვლელობის აღწერას, ცხადია, არ შევუდგებით — იგი თავის დროზე ტელევიზორის ეკრანებზეც აისახა და პრესაშიც გაშუქდა, მაგრამ აქ ორ მომენტს მსურს შევეხო ხაზგასმით:

პირველი. პრესაში რატომღაც სათანადო არ მიეზღო ზ. საკანდელიძეს. სავსებით ვიზიარებ იმ ჟურნალისტთა და სპეციალისტთა აზრს, რომლებმაც ამ წარმოუდგენლად ძნელ და საოცრად დაძაბულ მატჩში გამარჯვების მთავარ ავტორად მოსკოველი არმიელი ა. ჟარმუხამედოვი მიიჩნიეს. მან მართლაც ზღაპრულად ძნელი საქმე გააკეთა: თავფეხიანად შებოჭა ევროპული კალათბურთის მშვენება, ამერიკული ყაიდის ცენტრალური თავდამსხმელი ჩოსიჩი და ამით პირდაპირ საძირკველი გამოაცალა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდს. მაგრამ ხომ გახსოვთ, იყო მომენტი, როცა საბჭოთა ნაკრების საქმე ძალიან ცუდად გახლდათ — იუგოსლაველები 14 ქულით დაწინაურდნენ, თანაც, თამაში არ გამოგვდიოდა. მერე საბჭოთა კალათბურთელებმა იძალეს, ანგარიში გათანაბრდა (43.43). და აი, ამ მომენტში ქარიშხალივით დატრიალდა მოედანზე შემოსული საკანდელიძე (აკი თვით ჯონსმა თქვა, საკანდელიძის თამაში ცეცხლოვან ქართულ ცეკვებს მაგონებსო...) და ზედიზედ სამი ელვისებური გარღვევით მეტოქეთა კალათში სამი ბურთი მოათავსა, მერე კი, პატარა ინტერვალით, კიდევ ერთი...

ეს გახლდათ ნაღდად გარდამტეხი მომენტი ამ არაადამიანურად მძიმე, ნერვულად და ფიზიკურად უკიდურესობამდე დაძაბული მატჩისა. ამდენად, ჟარმუხამედოვთან ერთად ოქროს მედლების მოპოვებაში თანაბარი დამსახურება საკანდელიძეს მიუძღვის.

მეორე. საბჭოთა გუნდის მოთამაშეებს მალამოსავით ედებოდა მათი უფროსი მწვრთნელის, ახლა უკვე საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. კონდრაშინის პირდაპირ შესაშური თავდაჭერილობა. მე საგანგებოდ ვადევნებდი თვალს ჩემს პირდაპირ მჯდარ ლენინგრადელ მწვრთნელს და აღტაცებული ვიყავი მისი მოქმედებით. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, თუნდაც კატასტროფის წინაშე, რომ კონდრაშინს ოდნავ მაინც გამოემჟღავნებინოს წარმოუდგენელი სულიერი მღელვარება, ერთი ხმამაღალი სიტყვა დაეძახოს რომელიმე მოთამაშისთვის, საყვედური ეთქვას, გაეკილოს... პირიქით კი ხშირად აკეთებდა.

ეს იყო ერთადერთი, ვიმეორებ, ერთადერთი მწვრთნელი ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელთაგან, ვინც შეძლო რაღაც გასაოცარი მანქანებით თავისი უდიდესი განცდების შენიღბვა და მოთოკვა, არც ერთხელ არ დაუკარგავს წონასწორობა და ღირსეულადაც მოიმკა ესოდენ დიდი წარმატება.

სხვები კი... ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ, ცმუკავდნენ, ხტოდნენ, გაუთავებლად გაჰკიოდნენ თავიანთი მოთამაშეების მისამართით მაშინაც, როცა გუნდის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდებოდა და მაშინაც, როდესაც საქმე კარგად მიდიოდა (ამ შემთხვევაში პოლონელთა ნაკრების ხელმძღვანელი, ერთობ სათნო და სიმპათიური ზაგურსკი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა „ბრავოს“. განსაკუთრებით ბევრი „ბრავო“ ხვდა ბრწყინვალე კალათბურთელ იურკევიჩს...).

... სულ მალე აღიმართება საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ალამი. ცხადია, ჩვენ ყველაზე მეტად გვაღელვებს თბილისის გუნდების „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ბედი. მით უმეტეს, რომ მომავალი ჩემპიონატის დებულება ძალზე ულმობელი და მკაცრია.

როგორც თავში მოგახსენეთ, ესენში გამართულ ტურნირში საკანდელიძისა და ქორქიას ჩინებულმა თამაშმა იმედით ამავსო — იმედით, რომ ისინი თავიანთ მშობლიურ კოლექტივშიც ისეთივე მონდომებით, თავდაუზოგავად იბრძოლებენ, რომ მათ მთლიანად აუბამენ მხარს თანაგუნდელები...

ერთი რამ კი ახლავე ცხადია: მომავალ ჩემპიონატში ყოველ შეხვედრას, ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. და ამიტომ საჭიროა განუწყვეტელი, შეუნელებელი, პირდაპირ ფანატიკური შრომა მაღალი მიზნების მისაღწევად.

— მარტო ტექნიკით დღეს ფონს ვერ გახვალ, — მითხრა ერთხელ ჩემმა ესენელმა „თანამეთახემ“ ოთარ ქორქიამ — ქართული კალათბურთის ერთ-ერთმა მედროშემ და საქართველოს პირველი გუნდის მწვრთნელმა. ეს მითხრა მაშინ, როცა ესპანეთის გუნდის თამაშს ვუყურებდით. ამ ქვეყნის ნაკრებში პირველხარისხოვანი კალათბურთელები არიან: ელეგანტური ე. როდრიგესი, ამერიკელი წარმოშობის ესპანელები ლაიკი და ბრაბანდერი, დაუდეგარი ა. მარტინესი... დამეთანხმებით, არც ერთ მათგანს არ აკლია ტექნიკური ოსტატობა, მაგრამ გუნდი ფიზიკურად ძალიან სუსტად იყო მომზადებული, ტაქტიკური ვარიანტების ნაკლებობაც სჭირდა და მებრძოლური სულისკვეთებაც აკლდა.

ყველაფერი იოლად აიხსნა. ჩვენ რამდენიმეჯერ ვნახეთ ესპანელთა საწვრთნელი მეცადინეობა და უმალვე იმ დასკვნამდე მივედით, რომ ახლა ასე არასერიოზულად, უოფლოდ, შეიძლება ითქვას, გულგრილად, საბჭოთა კავშირში 11 ლიგის გუნდებიც არ ვარჯიშობენ.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ესენი — თბილისი.

• • •

სურათზე: ზ. საკანდელიძე უტევს მეტოქის კალათს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

• • •

პრეს-ცენტრის ოქმში (იხ. მარცხენა სურ.), რომელსაც პრესის წარმომადგენლები თამაშის დამთავრებისთანავე იღებდნენ, აღნუსხული იყო ყველაფერი — ვინ რამდენ ხანს დაჰყო მოედანზე, რომელ წუთზე დატოვა სარბიელი, რამდენჯერ დაჯარიმდა, როგორ ისროლა კალათში სხვადასხვა დისტანციიდან და რამდენი ქულა შესძინა თავის კოლექტივს.

მატჩის მსვლელობის სქემა (იხ. მარჯვენა სურ.) თავისებური ტაქტიკური რუკა გახლდათ, სადაც თვალნათლივ ჩანდა მეტოქეთა სუსტი და ძლიერი მხარეები.

ქვევით დაბეჭდილია სსრ კავშირი — იუგოსლავიის ფინალური მატჩის ოქმი და სქემა.





დებიუტანტის წარმატება

ბაქო, 11 ნოემბერი. აზერბაიჯანის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი პირველად მონაწილეობდა „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშების ფინალში და თავისი დებიუტი დიდი წარმატებით დაამთავრა: გათამაშების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა I ადგილი.

მასპინძლებმა ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს, ამასთან, არ გაუშვიათ არც ერთი ბურთი. მათ ერთნაირი ანგარიშით (1:0) დაამარცხეს საპატიო პრიზის ადრინდელი მფლობელები — უკრაინისა და საქართველოს გუნდები, ანგარიშით 3:0 სძლიეს ყაზახეთის ნაკრებს და ფრედ ითამაშეს ტაჯიკეთის გუნდთან — 0:0.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მეორე დებიუტანტის — ტაჯიკეთის გუნდის წარმატება, რომელმაც დაამარცხა რსფსრ-ს ნაკრები და ფრედ ითამაშა საქართველოსა და აზერბაიჯანის ძლიერ კოლექტივებთან.

12 ნოემბერს შედგება გათამაშების დასკვნითი შეხვედრები. საქართველოს ფეხბურთელები ეთამაშებიან უკრაინის გუნდს.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ე. ლიადინმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ აღნიშნული ტურნირი ნაკრების შესარჩევ კანდიდატთა შემოწმებას ისახავდა მიზნად: გაისად სსრ კავშირის ნაკრებს ხომ ევროპის ჩემპიონატში უწევს გამოსვლა. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე შეჯიბრებაში ნაკლებად არიან განსაკუთრებით ნიჭიერი ფეხბურთელები, რომ ზოგიერთი მწვრთნელი ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობისას ძირითად ყურადღებას ამახვილებს საერთო უნივერსალიზმზე, ფეხბურთელებს ერთგვარი საშუალო შაბლონის მიხედვით ამზადებენ, ეს კი ხელს უშლის ნამდვილი ტალანტების გამოვლენას და მათი ძალური მხარეების სრულყოფას.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19^{45}

◆ რანგუნი, 12 ნოემბერი. „აუნგ სანას“ სახელობის ადგილობრივ სტადიონზე ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ფეხბურთელებმა ბირმაში თავიანთი ტურნეს პირველი მატჩი გამართეს: ანგარიშით 3:1 დაამარცხეს მასპინძელი ქვეყნის ეროვნული გუნდი. ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა კუზნეცოვმა. მეორე ტაიმის დასაწყისში მაუნგმა საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ 69-ე წუთზე ელისეევმა კვლავ დააწინაურა „ზარია“. სტუმრებმა მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბირმელებს კიდევ ერთხელ დააწყებინეს ცენტრიდან თამაში. ეს ონიშჩენკომ შეძლო.

ფეხბურთი

ევროპის პირველობა

შესარჩევი მატჩები

II ჯგუფი

ნანტი, 10 ნოემბერი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდებს შორის დამთავრდა ფრანგების გამარჯვებით — 2:1. ყველა გოლი გატანილი იქნა შესვენების შემდეგ. ანგარიში 54-ე წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით გახსნეს სტუმრებმა (ბონევი), თანაფარდობა აღადგინა ლეხმა (65), ხოლო ლობემ 88-ე წუთზე გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უნგრეთი	6	4	1	1	12—5	9
საფრანგეთი	5	3	1	1	9—6	7
ბულგარეთი	5	2	1	2	9—6	5
ნორვეგია	6	0	1	5	5—18	1

III ჯგუფი

ლონდონი, 10 ნოემბერი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ინგლისელებმა შინ, „უემბლის" სტადიონზე, მოულოდნელად ფრედ ითამაშეს შვეიცარიის გუნდთან — 1:1. მასპინძლები დასაწყისშივე, მე-9 წუთზე დაწინაურდნენ (სამერბი), მაგრამ შემდგომში ვერაფერი შეძლეს, შვეიცარიელმა ოდერმატმა კი 26-ე წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა.

ინგლისელებს ჩასატარებელი აქვთ კიდევ ერთი მატჩი საბერძნეთის ნაკრებთან. იგი 1 დეკემბერს შედგება ათენში.

ინგლისი	5	4	1	0	13—3	9
შვეიცარია	6	4	1	1	12—5	9
საბერძნეთი	5	1	1	3	3—6	3
მალტა	6	0	1	5	2—16	1

V ჯგუფი

აბერდინი, 10 ნოემბერი. ჯგუფის ლიდერებმა — ბელგიელებმა აქ პირველი მარცხის სიმწარე იწვნიეს — წააგეს შოტლანდიის გუნდთან — 0:1. მასპინძლებმა ეს გოლი გაიტანეს მე-8 წუთზე (ო'ჰარემ კარგად გამოიყენა ჯონსტონის გადაცემა).

ჯგუფში ჩასატარებელია ერთი მატჩი: პორტუგალია — ბელგია (21 ნოემბერი).

ბელგია	5	4	0	1	10—2	8
პორტუგალია	5	3	0	2	9—5	6
შოტლანდია	6	3	0	3	4—7	6
დანია	6	1	0	5	2—11	2

2:0

მადრიდი, 10 ნოემბერი. აქ შედგა ოლიმპიური შესარჩევი მატჩი ესპანეთისა და პოლონეთის ფეხბურთელთა შორის. პოლონელებმა მასპინძლები დაამარცხეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს მარქსმა (46-ე წ.). და ლიუბანსკიმ (56).

„აიაქსის" ნაცვლად „პანათინაიკოსი"

ზერნი, 10 ნოემბერი. ფეხბურთის ასოციაციათა ევროპულმა კავშირმა დაადგინა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მფლობელის — ურუგვაის „ნასიონალის" წინააღმდეგ გამოვიდეს საბერძნეთის „პანათინაიკოსი".

ეს დადგენილება მოტივირებულია იმით, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლანდელმა მფლობელმა — ჰოლანდიის „აიაქსმა" უარი თქვა ურუგვაიში თამაშზე იმ საბაბით, რომ შარშან საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში, რომელიც მონტევიდეოში მიმდინარეობდა, მეორე ჰოლანდიურ კლუბს „ფეიენოორდს" თამაში მოუხდა არანორმალურ პირობებში, მსაჯობა არაობიექტური იყო, ურუგვაელი ფეხბურთელები და მაყურებლები თავაშვებულად, უწესოდ იქცეოდნენ. ამიტომ უეფა-მ „აიაქსის" ნაცვლად დაუშვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალისტი „პანათინაიკოსი".

ფინალური მატჩები შედგება მონტევიდეოსა და ათენში.

სინთეტურ საფარზე

ლონდონის ერთ-ერთ პარკში მოაწყეს ფეხბურთის სათამაშო მინდორი სინთეტური საფარით (100×64 მ). ამ მინდორზე მოეწყო მატჩი, რომელსაც ესწრებოდნენ საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის, ჰოლანდიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციათა წარმომადგენლები.

საფეხბურთო მინდვრის საზეიმო გახსნის წინ ნეილონის საფარი შეამოწმეს „არსენალის" ფეხბურთელებმა და დადებითი შეფასება მისცეს მას. გამოთვლილია, რომ ასეთ მინდორზე კვირაში 40 მატჩის ჩატარება შეიძლება. ჯერჯერობით კი ნეილონის საფარი მოსწონლ ფეხბურთელთა განკარგულებაშია.

უცხოეთის სტადიონებზე გამართულ საფეხბურთო მატჩებს ხშირად თან სდევს ჩხუბი და აყალმაყალი. ამ სურათზეც ერთი ასეთი ეპიზოდია აღბეჭდილი. შვეციის ჩემპიონატის მორიგი მატჩის დროს ამტყდარი ჩხუბი პოლიციელთა ჩარევით დამთავრდა.

ობიექტივში მსოფლიო

სურათზე: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოტომრბოლელი, ინგლისელი რ. გოულდი, რომელმაც მოიგო „გდრ-ის დიდი პრიზი" 250 კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანების კლასში.

„ასოშიეიტედ პრესის" ფოტო.

გაზეთ „ლელოს" რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ღრმა მწუხარება შოთა დავითის ძე იამანიძის გარდაცვალების გამო.

შ. იამანიძის ოჯახი.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

თბილისის სპორტული

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 14 ნოემბერი. „ისნის" სტადიონი. „იხანი" (თბილისი) — „ხალხინო" (გეგეჭკორი). დასაწყისი 13 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). 13 ს. „ისნის" სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი — „ივერიისი" (ცხაკაია). 15 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ფერიქარი" (წულუკიძე). 13 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 13 და 15 ნოემბერი. თბილისის „დინამო" (ახალგაზრდული) — ირანის ნაკრები. დასაწყისი 20 ს.

ისევ მედლები

პარიზი, 11 ნოემბერი. უნგრეთისა და იუგოსლავიის ღია ჩემპიონატებში წარმატების შემდეგ მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები საფრანგეთის ღია პირველობაშიც კარგად გამოვიდნენ — თანრიგების უმეტესობაში მედლები მოიხვეჭეს.

შერეულ წყვილებში ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ს. გომოზკოვი და იუნიორთა შორის კონტინენტის ჩემპიონი, 16 წლის ლვოველი ა. სტროკატოვი საუკეთესონი იყვნენ ვაჟთა დუეტებში. ფინალში მათ მსოფლიო ჩემპიონს ს. ბენგტსონსა და ბ. პერსონს (ორივე — შვეცია) სძლიეს — 21:14, 17:21, 21:13, 21:14.

ვაჟთა ერთეულების ასპარეზობაში ორივე შემთაღნიშნული საბჭოთა სპორტსმენი ნახევარფინალში გავიდა. სტროკატოვი შეუპოვრად იბრძოდა ბენგტსონთან, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდა — 13:21, 12:21, 21:17, 21:19, 13:21. დამარცხდა გომოზკოვიც, რომელმაც საუცხოო სპორტულ ფორმაში მყოფ ჟ. სეკრეტენთან (საფრანგეთი) წააგო — 17:21, 15:21, 21:15, 14:21.

ფინალურ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო — 21:12, 21:14, 21:7.

მოსკოველმა ს. ფიოდოროვამ (გრინბერგი) ნახევარფინალური შეხვედრა წააგო ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან ჯოუ პაო-ჩინთან (ჩინეთი) — 21:17, 21:23, 7:21, 9:21.

გომოზკოვმა და კაუნასელმა ა. გედრაიტიტემ შერეულ წყვილთა თანრიგში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ნახევარფინალში წააგეს შვედებთან პერსონთან და ბ. რადბერგთან — 21:11, 21:18, 17:21, 11:21, 16:21. ვერც შვედები გადაურჩნენ მარცხს — ფინალური მატჩი დათმეს გფრ-ის წარმომადგენლებთან კ. შმიტენგერთან და მ. ჰაიმასთან — 12:21, 6:21, 16:21.

ქალთა წყვილებშიც დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა ჰაიმამ და ვ. ჰენდრიქსენმა აჯობეს ყველას.

გუნდურმა შეჯიბრებამ წარმატება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს მოუტანა. ფინალში ამ ქვეყნის ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:1 აჯობა საბჭოთა კოლექტივს, რომელთანაც იუგოსლავიის ღია ჩემპიონატში წააგო. ვაჟებში ჩინელებმა გადამწყვეტი შეხვედრა ინგლისელებს მოუგეს — 3:1.

მაგიდის ჩოგბურთი

ორი ფრეს შემდეგ

გუშინწინ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ცსკა-ს ჰოკეისტებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მოსკოვის დინამოელები. ეს იყო ამ გუნდების მესამე კალენდარული შეხვედრა ქვეყნის წლევანდელ პირველობაზე. მათი პირველი ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 4:4, 3:3. არმიელებმა ამჯერად შეძლეს ძლიერი მეტოქის დამარცხება და სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს.

ამ დღეს გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 6:1, ასკ (ლენინგრადი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) 3:4, „სპარტაკი" — „კრილია სოვეტოვი" (ორივე — მოსკოვი) 5:6.

ჰოკეი

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.